სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080178671837915

 # 1209

01 / დეკემბერი / **2015** წ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2015 წლის 26 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ტყიბულის მუნიციპალიტეტის SMP150000532 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, მუნიციპალიტეტი გეგმავს საქართველოს ეროვნული ინტელექტჩემპიონატ „ეტალონის“ (79900000 სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) მომსახურების შესყიდვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვის საჭიროება განპირობებულია ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლებიდან „ეტალონი" მოსწავლის გამოვლენის სურვილით.

ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ზემოხსენებული პროექტის ჩატარებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილება გააჩნია შპს „ეტალონიმედიას“, რაც დადასტურებულია სსიპ „ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის“ საქპატენტის მიერ გაცემული №1197 სერთიფიკატით.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში შესასყიდი შემეცნებითი და გასართობი პროექტის მიწოდება წარმოადგენს შპს „ეტალონიმედიას“ ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, რომელიც დადასტურებულია „საქპატენტის“ მიერ გაცემული სერთიფიკატით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სერთიფიკატის მიხედვით

ექსკლუზივი ზემოხსენებულ პროექტზე ეკუთვნის გოჩა ტყეშელაშვილს, რომელიც მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული აქვს შპს „ეტალონიმედიას“.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

აღსანიშნავია, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის SMP150000532 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კახი დემეტრაშვილი